# გურიის ერობის მოამბე

№ 3

ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი

კვირა 18 იანვარი 1920 წელი ქ. ოზურგეთი


რევოლიუციის ქარცეცხლში იშვა ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, ხალხის საუკეთესო შვილთა ბრძოლისა და შრომის ნაყოფია ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც ჩვენში მკვიდრდება. ხალხის შვილთა ძვლებზე აიგო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის ფარგლებში თავისუფლება დამყარდა და ხალხის ნება გახდა საფუძვლათ და წყაროთ ქვეყნის მართვა-გამგეობისა.

დღეს ხალხი ფარავს სახელმწიფოს, სახელმწიფო ისახება ხალხში და ხალხის გარეშე არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს სთქვას, რომ სახელმწიფო — ეს მე ვარო. ხალხის ნება ყველაფერია, მას შეუზღუდველათ და ფართოთ შეუძლია საშუალება გამოხატოს თავისი ნება და თავისთვის სასარგებლო კანონები სწეროს.

ჩვენმა ხალხმა ერთ დიდ მიზანს მიაღწია: დასწყვიტა ის ჯაჭვები, რომლითაც შეკრული იყო მისი ხელფეხი; მას შეუძლია დღეს თავისუფლათ იმოქმედოს, თვით გასაჯოს, კარგი დაასასარგებლო გააკეთოს, ცუდი და საზარალო უარყოს.

ცხოვრების ტრიალმა ძნელი „ამოცანის წინაშე დაგვაყენა, რთული „მოვალეობის ასრულება" და დიდი საქმის კეთება თავს დაგვატეხა. და ჩვენ ჩვენი საქმის პირნათლათ შესრულებას მაშინ შევძლებთ, თუ გავერკვევით ხასიათსა და მიზნებში იმ ძალებისა, რომელთა ჭიდილი დღესაც ჩვენს გარშემო გრძელდება. ბოლშევიზმი და რეაქცია — მოხალისეთა ჯარის სახით, რომელთა შორის ბრძოლა რუსეთს ასახიჩრებს, აჩირქებს და სასიკვდილოთ ამზადებს, ჩვენთვის მიუღებელია. ამ ბრძოლამ დაშალა რუსეთი, ამ ბრძოლის ცეცხლში იწვის ხალხის შრომით შექმნილი სიმდიდრე, ნადგურდება ხალხის დოვლათი, ეცემა ხალხის მეურნეობა და სწორეთ ამიტომ ჩვენ ჩვენი სახელმწიფო გამოვყერით, ჩვენი რესპუბლიკა დავაარსეთ, ჩვენი ხალხური წყობილება შემოვიღეთ. ამით ჩვენ გავიმიჯნეთ როგორც ბოლშევიზმის, ისე რეაქციისაგან.

არც ბოლშევიზმი არც რეაქცია. ხალხის უფლებები—მოსთალება, დემოკრატიის პოლიტიკური ბატონობის დაცვა-შენარჩუნება — ეს არის ჩვენი სადღეისო მიზანი და მას უნდა ვემსახუროთ მთელი ჩვენი ძალით და შეგნებით. ეს გზა ნაცადი გზა არის, მით ვიხსნით ჩვენი ქვეყანა აოხრება-განადგურებისაგან და ამ გზას არ უნდა გადავცდეთ და არც გადავცდებით.

## საუბარი მკითხველთან

II

ერობის ფინანსებზე.

ყველას გაგვიგონია სიტყვა ფინანსები, მაგრამ ყველას ერთნაირად არ გვესმის მისი შინაარსი და მნიშვნელობა, ილია ჭავჭავაძის „ივერიასა" და „კვალს" შორის პირველი დავა ამ ფინანსის სხვა და სხვა ნაირ გაგებაზე აშენდა.

ძველათ, როცა ფულის სახსენებელიც კი არ იყო და კერძო პირი. თუ ჯგუფები-კომუნები-თავიანთ საჭირო მოსახმარ საგნებს თავათ ამზადებდენ, ფინანსებზე არავითარი წარმოდგენა არ იყო.

მაშინდელ თაობას ბუნება უკარნახებდა ცხოვრებას და შრომის განაწილებაზეც მას ქონდა უდიდესი გავლენა.

წყლისპირზე მცხოვრები მეთევზეობით ირჩენდა თავს, ტყეში მობინადრე მონადირეობდა, საძოვარ ადგილებზე მცხოვრები პირუტყვს აშინაურებდა და აშენებდა, მეჯოგეობას ეწეოდა; უცვლიდენ ერთი მეორეს საჭირო და მოსახმარ საგანს და ასე უშუამავლოთ, მარტივათ ეწეოდენ ცხოვრებას. ეხლანდელი „ჩაჩნები" ჩვენში, რომ წინათ დადიოდნენ, რამდენიმეთ მოგვაგონებენ იმ დროინდელ ცხოვრებას.

ლითონის გაჩენამ სრულებით შეატრიალა ცხოვრების ეს შინაარსი. მოსახმარ საგნების გაცვლა-გამოცლის საუკეთესო და იოლ საშვალებათ ძვირფასი ლითონი, ოქრო-ვერცხლი, და მისგან გამოჭედილი ნიშანი, ფული, იქმნა აღიარებული. ის გაბატონდა ცხოვრების ყველა დარგში.

თუ ფული გაქვს, ყველა ნაირ მოსახმარ და საჭირო საგანს იშოვი. ცხოვრების სიჭიროებას დაიკმაყოფილებ, თუ არა და უამისოდ ფეხსაც ვერ გადადგამ. ასეთმა გარემოებამ კერძო პირი, ოჯახი, თუ სახელმწიფო ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ თუ არსებობა სურთ, უპირველესად ყოვლისა თავის ფინანსიურ სიძლიერეზე უნდა იზრუნონ.

ამნაირათ, დღევანდელი კერძო ოჯახის, თვითმმართველობის, თუ სახელმწიფოს მთელი მეურნეობა ფულის ტრიალში გამოხატული არის მისი ფინანსები. ამას შემადგენელი ნაწილები კი შემოსავალი, გასავალი, ვალი და სხვა...

ასეთი მოკლე განმარტება, ვფიქრობთ, ნათელს მოფენს ჩვენს საუბარს ერობის ფინანსებზე.

რაც უნდა დემოკრატიულ საფუძველზე იყოს აგებული ჩვენი საქართველოს რესპუბლიკის ერობა, რა გინდ მტკიცე უფლებები ქონდეს მინიჭებული მას რესპუბლიკის ძირითადი კანონებით, რა გინდ ფართე იყოს მისი კომპეტენცია საზოგადო ცხოვრების მოწყობაში, მართვასა და გამგეობაში, ვერც ერთი ეს ვერ უშველის მას, თუ არ აქვს ეკონომიური სიძლიერე და საღი ფინანსიური პოლიტიკა.

ჩვენი ერობა იმვა მეტად მძიმე პირობებში. მას მაშინ უხდება ხალხის მართვისა და გამგეობის სადავის ხელში აღება, როცა ხალხის მეურნეობაში და საზოგადოთ ცხოვრების ყველა დარგში ძველი რეჟიმის და ომის ნაანდერძევი ქაოსი და არევ—დარევაა გამეფებული, როცა არც ერთი მხარე განსაკუთრებით ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა არ არის ისე მოწყობილი, რომ ის გახდეს ცოტათ თუ ბევრათ საიმედო წყაროთ ჩვენი ერობის საქმეთა მოწყობისა.

ერობა ხალხის ორგანიზაციაა და თვით ხალხმა უნდა მისცეს მას საარსებო და კეთილმოსაწყობი სალსარი. მაშინ კიდევაც ექნება მას უფლება, რომ მოსთხოვოს ერობას საქმის გაკეთება.

დემოკრატიული რესპუბლიკა და ერობა გადასახადს ისე უნდა ანაწილებდეს, რომ დემოკრატიულ ნაწილს ხალხისას საშუალება ეძლეოდეს შეძლებულთა ხარჯით სარგებლობდეს საერობო კეთილ მოწყობილებით. პროგრესიული გადასახადის პრინციპიც ამაში მდგომარეობს. პრაქტიკულათ ეს ასე განხორციელდება: ერობა გაიჩენს საკუთარ წარმოებას და აქედან აღებულ ფულს ღარიბთა სასარგებლოთ დახარჯავს, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ [illegible]ში. დღეს კი ჩვენ სხვა გვარი ქცევა გვ[illegible]! ხალხის პრეტენზიები ერობაზე ერთობ დიდი და პრიმიტიულია. ის ერობისაგან მოითხოვს ცხოვრების ყოველმხრივ გაუმჯობესებას: ექიმობას, სწავლა განათლებას, გზას, სამიმოსვლო საშუალებას, მიწას, სამუშაო იარაღებს, სურსათს და ერთი სიტყვით ყველაფერს, მაგრამ გადასახადის გადახდაზე, როგორც მოგახსენეთ, გულ ცივია.

ის გარემოება რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის სოციალისტური შემადგენლობა იძულებულია სახელმწიფო აღმშენებლობის დროს მიმართოს არაპირდაპირ გადასახადს, აქციზს და დამოჟნას, ნათლად ამჟღავნებს იმას, რომ დღევანდელ პირობებში სხვა გამოსავალი არ არის, რომ სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურ-სფეროში ნახტომები მეტად მავნებელია.

ჩვენში როგორც რესპუბლიკის, ისე საერობო გადასახადს, საფუძვლათ უნდა დაედვას უძრავ-მოძრავ ქონებათა ღირებულების და განსაკუთრებით შემოსავლის რაოდენობა და ამის კვალობაზე უნდა იქნას გადასახადი განაწილებული პროგრესიულათ ე. ი. მეტი ღირებულების და შემოსავლის მქონეს მეტი გადახდეს, ნაკლებისას—ნაკლები, მაგრამ ამ ძირითადი პრინციპის განხორციელებას ესაჭიროება სწორი სტატისტიკა და, ვიდრე ეს შეუგებოდეს ვიდრე ეკონომიური ცხოვრება ცნობაში მოვიდოდეს, ცხოვრება არ იცდის, სახელმწიფო აღმშენებლობა დიდ ხარჯებს მოითხოვს.

ამის გამო და რადგანაც ვიცით, რომ ყოველგვარი სამსახურის დასაფარავი ხარჯები, რომელსაც ერობა აწვდის ხალხს ამა თუ იმ კეთილ-მოწყობილების სახით, საბოლოოვო ანგარიშით მაინც ხალხის ჯიბიდან უნდა ამოვიდეს, რომ არავითარი სამსახური არ შეიძლება იყოს უფასო, რომ უფასო წამლობით, ექიმობით და სხვა სამსახურით ერთნაირათ უხდება სარგებლობა როგორც ღარიბს, ისე მდიდარს, რომელი გარემოებაც ერობას ახვევინებს დემოკრატიული გზიდან. ამიტომ ჯერ—ჯერობით მაინც, ვიდრე ერობას გაუჩნდებოდეს საკუთარი საწარმოვო საშვალებანი, ჩვენის შეხედულებით, იმ საერთო გადასახადის გვერდით, რომელსაც გამოიმუშავებს რესპუბლიკის კანონმდებლობა ერობისათვის, ჩვენი ერობის შემოსავლის წყაროებს უნდა შეადგენდეს საერობო დაწესებულებათა გადასახადი, სახელდობ: გასასინჯავი და საექიმო გადასახადი, ეჯარის ფული, საერობო მოწყობილებათა სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი, გზებზე, ხიდეებზე და სხვა მოწყობილებაზე დაწესებული გადასახადი, საქონლის

ბაჟი, სამიმოსვლო გადასახადი და სხვა მრავალი ერობას უნდა მიეცეს უფლება და საშვალება, რომ სამაზრო მნიშვნელობის გზებით ისე ისარგებლოს, როგორც მას მოესურვება, საკუთარი მიმოსვლის მოწყობით თუ ამ საქმის კონცესით გაცემით.

ფინანსების გასაუმჯობესებლათ ერობამ ფართოთ უნდა ისარგებლოს აგრეთვე სესხის უფლებით, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სესხი იხარჯებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საწარმოვო და მოსავლიან საქმეზე. რადგანაც სესხი თავის თავად არის მომავალი თაობის დაბეგვრა, ამიტომ ის უსათუოდ სარგებლიან საქმეს უნდა ხმარდებოდეს.

გახსოვდეს მკითხველო, რომ უფასო ექიმობა უფასო წამლობა, უფასო მიმოსვლა და სხვა სულ ყველა ეს თავის მოტყუებაა.-*) წამალს და სასწავლო ნივთებს აგრეთვე საავათმყოფოსა და სამკურნალოს მოწყობილობებს მამასისხლათ ვყიდულობთ, ექიმს ფერშალს, მასწავლებელს სასყიდელს ვაძლევთ. წესრიგის დამცველი მილიციის შენახვა დიდი ხარჯები ჯდება, თვით ერობის და თემთა მოსამსახურეებს იმდენი მაინც უნდა მივსცეთ, რომ შესძლონ ყოველდღიურათ ხარჯონ თავიანთი ენერგია და ცოდნა გამოცდილება ჩვენდა სასარგებლოთ და ვინ უნდა დაფაროს ამოდენა ხარჯები, თუ არა ერობის კასამ და ამ კასაში ვინ უნდა შეიტანოს ეს ფულები, თუ არა ხალხმა ამა თუ იმ გადასახადის სახით. აქ გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ თითქოს უფასოთ მიწოდებულ სამსახურის დასაფარავი ხარჯები ერობამ უნდა აიღოს არა პირდაპირი სახით. ჩვენს ერობას რომ მსხვილი წარმოება ქონდეს, მაშინ ამ შემოსლით დაფარავდა ამ ხარჯებს. ჩვენში კი ეს ხარჯები ან უნდა იქმნან დაფარული არაპირდაპირი გადასახადებით, ან და ვალით. პირველ შემთხვევაში თავს ვიტყუებთ, მეორე შემთხვევაში თავს ვიკოტრებთ.

ჩვენ ორივეს უნდა ვერიდოთ. სჯობს სინამდვილეს პირისპირ შევხედოთ

პირდაპირი გადასახადებით ერობის ფინანსები გავაძლიეროთ. მივსცეთ ერობას კეთილ მოსაწყობი საშვალებანი და კიდევაც მოვსთხოვოთ, სასტიკათ მოვსთხოვოთ საქმის გაკეთება.

გიჯ. ღლონტი

*) უფასო უნდა იყოს მხოლოდ დაწყებითი სწავლება და ისიც იმიტომ, რომ გავხადოთ ის ყველასათვის ხელმისაწვდომათ და სავალდებულოთ, რომ ამით შევქმნათ ერის სამემკვიდრეო განძი. და ამ შემთხვევაშიაც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმეზე გაღებული ხარჯი ეს ის ავანსია, რომელსაც დღევანდელი თაობა იღებს ერის საუკეთესო მომავლის შესაქმნელათ.

ვ. ღ.

## როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარების საქმე გურიაში და რაგვარი ორგანიზაციაა საჭირო ამისათვის.

(გაგრძელება)

საზოგადოებრივი აგრონომიის ისტორია მრავალ ძვირფას მასალას გვაძლევს ამ აგრონომიის დასახასიათებლათ და ამ დახასიათებაში ირკვევა ის ძირითადი ზომები, რომლებიც უნდა გატარდეს საზოგადოებრივ აგრონომიაში. უნდა მოვახსენოთ, რომ სოფლისათვის აგრონომიული დახმარების საჭიროება ძალიან გვიან შეიგნეს; ამის მიზეზი ის იყო, რომ მათი წარმოდგენით გლეხკაცმა მეურნეობა იცოდა და არ საჭიროებდა დახმარებას. პირველ ხანებში უფრო საჭიროთ დაინახეს საექიმო დახმარება, სახალხო განათლება, გზების გაკეთება და სხვა. მართლაც ამ უკანასკნელ დარგებში დახმარების საჭიროება ისე სასწრაფო ზომებს თხოულობდა, რომ ამის დაგვიანება შეუძლებელი იყო: ხალხში სხვადასხვა გადამდები სენი მძვინვარებდა, საჭირო იყო აქიმობა, ხალხს სიბნელეში სული ეხუთოდა, საჭირო იყო სწავლა განათლების შეტანა მასში, არ იყო სამიმოსვლო საშვალებანი საჭირო იყო გზების გაყვანა და სხვა. მაგრამ, როცა სასოფლო მეურნეობაში თავი იჩინა ხშირმა მოუსავლობამ, თითქმის ქრონიკული ხასიათი მიიღო, და ამით ხალხი დაიმშა, სხვა და სხვა გადამდებმა სენმა შინაურ საქონელს მუსრი გაავლო, მაშინ შეუძლებელი შეიქნა სოფლის მეურნეობის უყურადღებოდ დატოვება, რადგანაც ეს მოვლენები კატასტროფიულ ხასიათს იღებდა, და ჩვენც ვხედავთ, რომ ზოგიერთი მოწინავე ერობები სასწრაფო ზომებს იღებენ დატეხილ უბედურების საწინააღმდეგოთ და სასოფლო მეურნეობის და მის დახმარების საკითხს პირველ რიგში აყენებენ. აი ამ დროიდგან ჩაეყარა საძირკველი საერობო აგრონომიას, რომელიც შემდეგში გაფართოვდა და გაღრმავდა და საერობო მოღვაწეობაში თვალსაჩინო ალაგი დაიკავა. პირველ ხანებში აგრონომიული დახმარების საქმე უბრალოთ, მარტივათ ქონდათ წარმოდგენილი, საკმაოთ მიაჩნდათ დაქირავება მცოდნე პირების, რომელნიც ხალხს შეასწავლიდა მავნეებთან ბრძოლას, გამართავდა ხალხთან საუბრებს მოუსავლობაზე და სხვა და სხვა სამეურნეო საკითხებზე და ასე ზეპირი სიტყვის საშუალებით შეასწავლიდა ხალხს მეურნეობას. სპეციალისტი აგრონომი წარმოდგენილი ყავდათ პროპაგანდისტათ, ხალხი კი—მოწაფეებათ.

ამ ნაირათ, საუბრები მეურნეობაზედ პირველი ნაბიჯი იყო გადადგმული სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლათ და შეიძლება ითქვას აუცილებელიც, რადგანაც სხვა მეთოდები იმ ხანებში არ იყო შემუშავებული. მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, მარტო ზეპირი სიტყვა არ დარჩა საკმარისი მეურნეობის გასაუმჯობესებლათ. ამის მიზეზები უფრო ღრმათ იყო ჩაქსოვილი სოფლის მეურნეობის სინამდვილეში. ხალხმა დიდი ხნის მუშაობის პროცესში შექმნა ერთნაირი მეურნეობა, რომელსაც გარკვეული სახე აქვს და ეს სახე დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი რჩება, ერთ წერტილზე არის გაყინული. ხანგრძლივი შრომა და ცდა არის საჭირო, რომ ის დაძრული იქნას იმ წერტილიდგან და სახე გამოიცვალოს. მეორე მხრით საზოგადოებრივი აგრონომია მოკლებულია საშუალებას პირდაპირი გავლენა იქონიოს სასოფლო მეურნეობაზე, მან ეს გავლენა უნდა მოახდინოს მეურნე მასსაზედ და ამით გააუმჯობესოს მათი მეურნეობა.

ამნაირათ საზოგადოებრივი აგრონომი იძულებული ხდება თავის მუშაობაში დაემყაროს მეურნე ხალხის სურვილებს და მიდრეკილებებს, მიუხვდეს ხალხს, რომ მას სურვილი აქვს გამოიყენოს ის გაუმჯობესებული მეთოდები, რომლებსაც მას აგრონომი აწვდის. ამ ნაირათ, მეურნეობის გაუმჯობესება თვით ხალხის თვით მოქმედების და ინიციატივისაგან არის დამოკიდებული და, რომ ეს თვითმოქმედება და ინიციატივა მასში ავამოძრავოთ, საჭიროა შევარყიოთ ხალხის მიერ საუკუნოებით შეთვისებული რწმენა, რომ მეურნეობაში ვითომ არ იყოს საჭირო გაუმჯობესებული ტეხნიკა და სრულიად საკმარისი იყოს იმ პრიმიტიული წესებით მუშაობა, რა წესებითაც მუშაობდა მათი მამა პაპა; და როდესაც ამ რწმენას გაუფანტავთ, თამამათ შეგვიძლია მივაწოდოთ ახალი, მეცნიერულ საფუძველზე აგებული, წესები, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ არ კმარა მარტო ზეპირი ქადაგება, რადგანაც ხალხი—მასსა არ არის მომზადებული მეცნიერულათ დასაბუთებული წესების შესათვისებლათ, რის გამოც ის მისთვის გაუგებარი იქნება. ყველა ზემო მოყვანილიდან ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: მარტო ზეპირი სიტყვა არ არის საკმარისი სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, რადგანაც ის მისთვის ძნელი გასაგები იქნება. მასსა საჭიროებს არა მარტო მოისმინოს, არამედ კიდევაც დაინახოს. მას პრაქტიკასთან აქვს საქმე და გაუმჯობესებულ მეურნეობას ის თავის აზროვნებაში ვერ წარმოიდგენს, თუ ცოცხალ მაგალითებზე არ დავანახვეთ—ასეთი მეურნეობა, ამიტომაც ცხოვრებამ წამოაყენა ზეპირ ქადაგებასთან ერთად სხვა საჩვენებელი, სანიმუშო ზომები გაუმჯობესებული მეურნეობისა, როგორიც არის საჩვენებელი მიდვრები, ნაკვეთები სხვა და სხვა სასოფლო მეურნეობის დარგებში. (საჩვენებელი ბაღები, ბოსტნები, გაუმჯობესებული იარაღებით ხვნა—თესვა და სხვა.)

ამ ნაირათ, საზოგადოებრივი აგრონომიის ისტორიაში საჩვენებელი ღონის ძიებანი მეორე ნაბიჯი იყო სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლათ გადადგმული და მჭიდროთ შეკავშირებული სიტყვიერ ქადაგებასთან. ეს ორი საშუალებანი ძირითად მეთოდებათ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი აგრონომიის შემოქმედებაში. ამ მეთოდების წყალობით მას ეძლევა საშუალება შეიტანოს ხალხში სამეურნეო ცოდნა, აჩვენოს მას გაუმჯობესებული ტეხნიკა, ამუშაოს ხალხის აზროვნება, აღუძრას თვითმოქმედება და ინიციატივა და ამ ნაირათ ის ზღუდე, რომელიც ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას, გადალახოს და მომავალი მოქმედებისათვის ფართე გზა გაიკაფოს.

აგრონომიული მოქმედება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ობიექტიურ პირობებზე, როგორიც არის, კლიმატიური, საბუნებისმეტყველო—ისტორიული, ხალხის ზნე ჩვეულება, მისი განვითარება და სხვა. ეს პირობები კი არ არის ერთნაირი, არამედ სხვა და სხვა ამიტომ ერთი შაბლონით მუშაობა სხვა და სხვა ნაირ პირობებში არ შეიძლება და, როცა ვიმუშავებთ აგრონომიული დახმარების საზოგადო გეგმას, საჭიროა დაწვრილებით შევისწავლოთ სამოქმედო რაიონი. თუ წინასწარ რაიონი არ შევისწავლეთ, ყოველ მხრივ არ გავეცანით მისი მეურნეობის სინამდვილეს, აგრონომიული დახმარება უსიცოცხლო იქნება და ვერავითარ ნაყოფს ვერ მოუტანს ხალხს. როგორც ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდან დავინახეთ, საზოგადოებრივმა აგრონომიამ დიდი ხნის მუშაობის შემდეგ გამონახა სწორი ძირითადი ხაზი აგრონომიული დახმარებისა და შესაფერი ორგანიზაციებიც მოაწყო.

გურიის ერობამაც უნდა გამოიყენოს ამ ცდის ნაყოფი და ადგილობრივი პირობების მიხედვით შესაფერი ღონისძიებანი უნდა გამოიმუშაოს ადგილობრივი სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლათ და შესაფერი ორგანიზაციები უნდა მოაწყოს, როგორც ცენტრში ერობის გამგეობასთან, ისე მაზრაში.

თუ რა გვარი ღონისძიებანი და ორგანიზაციები არის საჭირო აგრონომიული დახმარების მოსაწყობათ, ამის ნათლათ წარმოდგენა შეიძლება მას შემდეგ, როდესაც გავეცნობით გურიის დღევანდელ სინამდვილეს უმთავრესათ მეურნეობის მხრით.

აგრონომი ებრალიძე.

## სკოლის საკითხები.

I.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გვიანდერძა თავისუფალი სკოლა და კიდევაც შევინარჩუნეთ ის, მხოლოდ რაც შეეხება მის გაეროვნებას (დემოკრატიული სკოლა უსათუოდ ეროვნულია), ამ მხრივ ჯერ მუშაობაც არ დაგვიწყია. ჩვენს რესპუბლიკას აქვს შემოღებული საშუალო და დაბალი სკოლის ტიპი, სკოლებში სწავლება სწარმოებს სამშობლო ენაზე, მაგრამ ეროვნული სკოლა ჯერ კიდევ არა გვაქვს, ჯერ კიდევ დიდი შრომა და ენერგიაა საჭირო რომ ჩვენი სკოლა დადგეს ნამდვილ ეროვნულ ნიადაგზე, მაგრამ მარტო ეს ნაკლი კი არ აქვს ჩვენს სკოლას.

ჩვენი თავისუფალი სკოლა ისევ ის ძველი წიგნის სკოლაა, წიგნი და მშრალი სიტყვაა შიგ გაბატონებული. ცხოვრება თავის გზით მიდის, სკოლის შაბლონიური გზა სულ სხვაა—სხოლასტიკას ჯერ კიდევ არ მოუჭამია თავისი დრო.

—ნონ სხოლაე, სედ ვიტაე დისკუნუს—არა სკოლისათვის—ცხოვრებისათვის ვსწავლობთო,—ეს ბრძნული აზრი სენაკასი ჯერ კიდევ ფუჭი სიტყვებია ჩვენთვის. არა ცხოვრების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არა შრომა—ბრძოლისათვის მომზადება მოზარდი თაობის—ჩვენს სკოლას მიზნათ დაუსახავს რეალურ ნიადაგს მოსწყვიტოს ახალი თაობა, თავიდან აშოროს მას „შავი“ შრომა და მისცეს საშუალება იცხოვროს „იოლად, წმინდა საქმით“, როგორც ამბობენ ჩვენში. „წმინდა საქმის“ ხალხი ახლაც ბლომათ გვყავს, მომავალში მეტი გვეყოლება, ასე რომ თუ დღეს იუმორისტის სიტყვით, ჩვენში ერთ მცხოვრებაზე ასი მგოსანი მოდის, რამდენიმე წლის შემდეგ ეს რიცხვი საგრძნობლად გადიდდება!.

ჩვენი ერი დღეს თავის გზას ადგია; ის ცდილობს შევიდეს კულტურულ კაცობრიობის ოჯახში, როგორც სრულუფლებიანი წევრი; დღეს ჩვენ მოუთმენლად ველოდებით—როდის იცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობასო; მაგრამ გარედან ნაცნობი დამოუკიდებლობა ხომ მხოლოდ და მხოლოდ საშუალება უნდა იყოს ჩვენი შინაგანი განმტკიცებისა, ჩვენი ნივთიერი თუ სულიერი კულტურის შექმნისა. რამდენიც არ უნდა გვიცნონ, მაინც [illegible] გავხდებით, ჩამორჩებით და გამოვირიცხებით კაცობრიობის ოჯახიდან, თუ ვერ შევსდექით საკუთარ ფეხებზე, თუ ვერ გამოვედით ისტორიის ასპარეზზე თავის სახით, საკუთარი კულტურით.

ჩვენი სამშობლოს მდიდარი ბუნება და ჩვენი მშრომელი ხალხის ენერგია—აი გრდემლი და ჩაქუჩი, რომელთა შორის უნდა გამოიჭედოს ჩვენი მომავალი. ჩვენი სამშობლოს მთა და ბარი—აი სად უნდა აყვავდეს ჩვენი კულტურა. და თუ ეს ვერ შევსძელით, იძულებული ვიქნებით ჩვენვე ვსთხოვოთ ვისმეს—გვიყმე გვიპატრონეო.

გაასკეცებული ენერგიით ნაყოფიერი შრომა, კვლევა, ძიება—ეს უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი და ამ ლოზუნგზე აღიზარდოს ახალი თაობაც, მაგრამ ამას ვერ შესძლებს დღევანდელი სკოლა.

ცხოვრება და სკოლა ორგანიულად უნდა იყოს შეკავშირებული; საჭიროა ჩვენი სკოლის მთელი სისტემის შეცვლა, საჭიროა ძველი სხოლასტიური პედაგოგიის განდევნა—სკოლის კარები ფართოთ უნდა გაიღოს ცხოვრებისათვის, ცხოვრების სკოლა უნდა ზრდიდეს ცხოვრებისათვის. თუ ცხოვრება შრომაა—სკოლაც შრომის უნდა იყოს. მაგრამ ვრცლად ამ საგანზე შემდეგ წერილში ვსთქვათ.

თუ გადავავლებთ თვალს სკოლის ისტორიას სხვა და სხვა ქვეყნებში, დავრწმუნდებით, რომ—თვითონ საზოგადოება, ხალხი, მისი თვითმართველობის სახით, უყრის საფუძველს ახალს სკოლას: ასეა ამერიკაში, გერმანიაში, დანიაში, შვეციაში და სხვა. რუსეთის ერობა ხომ ფრთა შეკვეცილი იყო, მაგრამ იმანაც შესძლო სახალხო სკოლის შექმნა რუსეთში.

ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო განათლების საქმე თითქმის მთლად ერობის ხელშია, ასეთი დემოკრატიული ერობა კი, როგორიც ჩვენა გვაქვს, ისტორიას არ ახსოვს. სწორედ ამიტომ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ჩვენი ერობა შესძლებს ახლო მომავალში გარდაქმნას და აალორძინოს შრომა—ცხოვრების სკოლა.

გაბრიელ გოგუაძე.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— ომში დაღუპულთა მემკვიდრეებისათვის და დასახიჩრებულთათვის პენსიის ნორმის განსაზღვრის დროს სახელმძღვანელოთ მიღებულ იქმნას საუწყებათაშორისო კომისიის სხდომის ჟურნალით განსა-

ზღვრული და ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული სარჩენი მინიმუმი (თვიურ სახარჯო ნორმათ 360 მანეთი).

— სადურგლო სახელოსნოს გამგეთ დაინიშნოს სოლომონ მიქატაძე 15 ოქტომბრიდან, სახელოსნოს უფროს მუშათ ამბაკო ლეონტის-ძე ჩხაიძე 15 დეკემბრიდან. უმცროს მუშებათ ბურცხრიკაძე იეზეკია რომანოზის-ძე 15 დეკემბრიდან და ჩალოღლი ალია ახმედის-ძე 1 იანვრიდან. ამათი ჯამაგირები განისაზღვროს შემდეგ.—

— ერობის მოსამსახურეს ბარნაბ კობალაძეს მიეცეს დასვენება ამა წლის 15 იანვრამდე, იმ დღიდან კი სოულიად განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან—ავათმყოფობის გამო. მის ადგილზე მიღებულ იქნას ივანე კილურაძე 1 იანვრიდან.

— ერობის სტატისტიკურ განყოფილებაში დაინიშნოს სტატისტიკოსათ გადასახადთა განყოფილების მოანგარიშე გერმანე ტოტოჩავა 1 იანვრიდან 2500 მ. ჯამაგირით თვეში.

— დაინიშნოს ერობის სამდივნოში რეგისტრატორათ ნიკოლოზ ქეიშვილი 1 იანვრიდან ამ შტატზე მითვისებული ჯამაგირით.

— შეძენილი იქნას ურები 5000 მანეთად.

— გარდაცვალებულ სახალხო მასწავლებლის ს. რამიშვილის ასულს გიმნაზიის მოწაფეს თ. რამიშვილს დაენიშნოს დახმარება 500 მ. თვეში 1 იანვრიდან სამოსწავლო წლის ბოლომდე.

— დაევალოს გამგეობის წევრთ თავიანთ გამგებლობაში მყოფ განყოფილებათა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენა 20 იანვრამდის.

— მოეწყოს მაზრაში ოთხ ადგილას ხეხილების და ფასიანი მცენარეების სანერგეები. ამ მიზნისთვის გადაიდოს ერობის კასიდან 93600 მანეთი, რაიც გაღებულ იქნას ერობის კასიდან თანდათანობით აგრონომიულ განყოფილების მოთხოვნილების თანახმათ.

— რადგან მიზანშეწონილობა მოითხოვს, რომ აკეთის თემის გამგეობა დარჩეს იქ; სადაც სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებებია და ვინაიდან გამოირკვა, რომ აკეთის თემის არსებული ცენტრი დაშორებული არის მხოლოდ სოფელ ვანზე, დანარჩენი ხუთი სოფლისათვის კი ის მისადგებია, გამგეობა ადასტურებს აკეთის თემის არსებულ ცენტრს და წინადადებას აძლევს ადგილობრივ საბჭოს დაუყონებლივ მიიღოს ზომები, სოფელ ვანთან მიმოსვლის გასაადვილებლათ გზის გაკეთებით. სამაზრო ერობის გამგეობა კი თავის მხრივ მიიღებს ზომას, რომ ეს სოფელი დაუკავშირდეს თემის გამგეობას ტელეფონით.

ბიბლიოთეკა

— დაინიშნოს სასურსათო საწყობების გამგეთ დიომიდე ქანტურიშვილი, ამ თანამდებობაზე მითვისებული ჯამაგირით 1919 წლის 20 დეკემბრიდან, ყოფილი გამგე ს. გოგუაძე დაინიშნოს ერობის სასურსათო განყოფილების აგენტათ 300 მ. ჯამაგირით 1920 წლის 1 იანვრიდან.

# სამაზრო ერობის მოღვაწეობა

## საექიმო განყოფილება.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ 1 იანვრიდან 1919 წლისა მიიღო ქუთაისის ქუბერნიის სამმართველოსან არსებულ საექიმო განყოფილებისაგან 2 საავათმყოფო—ჩოხატაურის და ლანჩხუთის —და 2 საფერშლო პუნქტი—ხვარბეთის და სურების. 1919 წლის განმავლობაში გამგეობამ გახსნა მაზრაში დამატებითი ორი საექიმო პუნქტი (ქ. ოზურგეთში და ხიდისთავში) და საფერშლო პუნქტი თითქმის ყველა თემებში მთელი მაზრა დაყოფილია 8 საექიმო უბნათ 19 საფერშლო პუნქტებით; თითეულ უბანში უნდა იყოს გამგე—ექიმი და საკმაო რიცხვი საშუალო პერსონალისა, მაგრამ 1919 წლის განმავლობაში გამოცდილი ექიმის შოვნა ვერ მოხერხდა და ამიტომ განზრახულ საექიმო პუნქტებზე, როგორც მაგ. აკეთში, საჭამიასერზე, ხვარბეთში და სადგ. ჯუმათზე, მოწვეულნი არია ჯერჯერობით მარტო ფერშლები და ბებია-ქალები ასე რომ ამ ჟამათ ფაქტიურათ მაზრაში არის ოთხი საექიმო უბანი ექიმებით და 23 საფერშლო პუნქტი. გაიხსნა აგრეთვე მაზრაში ორი საერობო აფთიაქი: ხვარბეთში და ჩოხატაურში. ასეთი აფთიაქების გახსნა განზრახულია სხვა თემებშიდაც. გამგეობამ შემოიღო მაზრაში უფასო ექიმობა და საერობო პერსონალს არავითარ პირობებში არ ეძლევა უფლება აქიმობისათვის რაიმე გასამჯელოს აღებისა.

ჯარის ფერშლები, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შეცვლილი იქმნენ შკოლის ფერშლებით. საზ. სამსახურში ჩარიცხვის დროს უმთავრესი ყურადღება ექცევა პერსონალის გამოცდილებას, სტაჟს და ექიმისათვის სპეციალობასაც.

1920 წლიდან გაუქმებულ იქმნა ძველი წესი ავათმყოფთა რეგისტრაციისა (საამბულატორიო წიგნებში ჩაწერა) და შემოღებულ იქნა ახალი წესი, ეგრეთ წოდებულ სარეგისტრაციო ბარათების სახით. გარდა ამისა განზრახულია მაზრაში არსებული 8 საექიმო უბანი გადიდებულ იქნას თერთმეტამდე.

## სავეტერინარო განყოფილება.

(გაგრძელება)

აგრეთვე ერობამ მიიღო დაუზარებელი შრომა და ხარჯები მსხვილ-რქიან საქონლების ჭირთან საბრძოლველი წამლის „შრატის“ შეძენის საქმეში. შეძენილი შრატით აიცრა მაზრაში 300-მდე საქონელი სურების მთაზე. თუმცაღა ხსენებული შრატის რაოდენობა საკმარისი არ იყო, მაგრამ მეტი არც მთავრობას მოეპოვებოდა, რადგან ქუთაისის დროებითი შრატის დამმზადებელი სადგური იქნა გადატანილი სხვა ადგილას, რომელიც ჯერ კიდევ არ მოუწყვიათ. ასე რომ ამ ჟამათ შრატი არც-კი მზადდება. და ჭირთან ბრძოლა სწარმოებს კარანტინების საშუალებით. ასეთივე საშუალების მეოხებით და მცხოვრებთა შეგნებული დახმარების საშუალებით ებრძოდა საევტერინარო პერსონალი 1919 წელში მაზრის სხვა და სხვა კუთხეებში საქონლის ჭირს. თუმცაღა უშრატოთ ძლიერ გასაჭირია ჭირთან ბრძოლა, მაგრამ სავეტერინარო უწყებამ მიაღწია მიზანს და მსხვილ-რქიანი საქონლების ჭირი შეაჩერა. ასე რომ ამ ჟამათ მაზრა გამოცხადებულია საქონლის ჭირისაგან თავისუფლათ. ადგილობრივი პირადი მუშაობის გარდა სავეტერინარო განყოფილებამ შეადგინა და დაბეჭდა მოკლე პოპულიარული ფურცლები დარიგებებისა, თუ როგორ უნდა იქცეოდენ მეპატრონეები საქონლის ჭირის გაჩენის დროს.

ეს დარიგებანი შემდეგია:

1, საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს სავეტერინარო განყოფილებას, ადგილობრივ მთავრობას და უბნის ექიმს. ექიმის მოსვლამდის სნეული საქონელი უნდა იქნეს განცალკევებული სხვა საქონლებისაგან.

2, როცა ჭირი უკვე აშკარათ დადასტურდება, მაშინ ყველა ახლო—მახლო ოჯახებმა უნდა დაამწყვდიონ საქონლები თავიანთ ეზოებში.

3, ავათმყოფი საქონლების მომვლელი არ უნდა ეკარებოდეს სხვა საღ საქონლებს.

4, წყლის სასმელი ჭურჭელი უნდა იყოს ავათმყოფების და კარგათმყოფების ცალ-ცალკე.

5, ვინც ავათმყოფებს უვლის, ან საქონელს მარხავს, იმან უნდა დაისუფთაოს ხელები და ტანისამოსი შესაფერი სადეზინფექციო მასალით, მაგ. კარბოლის სიმჟავით, ან სხვა რითიმე, უკიდურეს შემთხვევაში კარგათ გაიბანოს საპნით და თბილი წყლით.

6, ჭირით მკვდარი საქონლები უნდა დაიმარხოს $2^{1}/_{2}$ არშინის სიღრმეზე და კარგი იქნება, თუ ზემოდან კირს ან სხვა რაიმე სადეზინფექციო მასალას მოაყრით. აღნიშნული სამარხი უნდა იქნეს დაშორებული წყალზე და გზებზე.

7, ჭირით ავათმყოფი საქონელი კარგი იქნება იყოლიოთ მიფარებულ ადგილზე, ან დახურულ კონახებში. სადაც უფრო სიგრილეა და ბუზები არ ეტანებიან, ასეთი სამყოფი დაშორებული უნდა იყოს საზოგადო გზებზე, მდინარეებზე და რაც შეიძლება ახლო მეზობლებზედაც.

8, აკრძალული უნდა იყოს ჭირიან უბნებში საქონლების ყიდვა-გაყიდვა სავეტერინარო პერსონალის ნებადაურთველათ და არც გადადიოდ-გადმოდიოდეს სოფლებიდან—სოფლებში საქონლები შეუმოწმებლათ, რითაც ეს არ უნდა იყოს, ურმებით, თუ სხვა რითიმე.

9, ჭირის გადამტანია დაკლული ჭირიანი საქონლის ხორცი, ტყავი, შარდი, პატივი, ძვლები და სხვა, აგრეთვე შინაური ფრინველები და ღორები თავიანთი ფეხებით, ნისკარტით და დუნჩით; აგრეთვე ძაღლები, რომლებიც გაძღებიან ჭირიანი საქონლის ლეშით (თუ ასეთები ღრმათ დამარხული არ იქნებიან) და რამდენიმე საათს შემდეგ წაიღებენ სხვა და სხვა ეზოებში.

10, ყველა უბანი და თვითეული მოქალაქე საკუთრის ინტერესებისათვის უნდა ითხოვდეს ჯოგების, მეურმეების, თუ სხვა უცხო უბნებიდან მომავალ საქონლის მეპატრონეებისაგან მოწმობას იმის შესახებ, რომ მას საქონელი მოყავს არა ჭირიანი უბნებიდან. ასეთი მოწმობები უნდა იქნეს მიცემული სადაც შესაძლოა—ექიმების მიერ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში თემიდან, რომ მათ სათემოში საქონლის ჭირი არ არის.

11, ჭირით ავათმყოფი საქონლის მდინარეში ჩაყენება არ უნდა იქნეს დაშვებული, რადგან ეს ჭირის გამავრცელებელია. შეიძლება ექიმის დარიგებისამებრ თავი უგრილოთ საქონელს პირველ ხანებში—აძლიოთ რბილი საჭმელები, ხოლო, როცა ფაღარათი დაეწყებათ, მაშინ წყლის გადასხმა საქონლისთვის მავნებელიც არის.

12, ყოველივე ამას მით უფრო უნდა მიექცეს ყურადღება ამ ჟამათ, რადგან ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველი მასალა „შრატი“ საკმარისად არ მზადდება სადგურზე.—

## სტატისტიკური და სააღმწარმოებლო? განყოფილებანი.

ამ წლის 4 იანვარს $11^{1}/_{2}$ საათზე ოზურგეთის სამაზრო ერობის შენობაში შესდგა ერობის გამგეობის მიერ მოწვეული სააგრარიო კომისიის თითო წევრთა და მდივანთა და თემებიდან თითო მასწავლებელთა თათბირი, რომელსაც დასახული ჰქონდა ორი მიზანი: 1. სააგრარიო კომისიის შემდეგი მუშაობის გეგმის გამომუშავება და დირექტივების მიცემა და 2 მასწავლებლებისათვის სტატისტიკური ცნობების შეკრების ტეხნიკური მხარის შესახებ ინსტრუქციების მიცემა. თათბირს დაესწრო 14 თემიდან

თითო მასწავლებელი და 7 სააგრარიო რაიონის კომისიის თითო წევრი და მდივანი. თათბირი გახსნა ერობის სტატისტიკური განყოფილების გამგემ ვიქტორ ლლონტმა, რომელმაც დაწვრილებით განმარტა სტატისტიკის მნიშვნელობა, როგორც სამაზრო ერობის, რესპუბლიკის, ისე თვით ხალხის ინტერესებისათვის და გააცნო გურიაში კომლობრივი მიწათმფლობელობის და მიწით—სარგებლობის სტატისტიკური ცნობების მოსაკრები ბლანკი. მასწავლებლებს და სააგრარიო კომისიის მდივნებს დაურიგდათ ბლანკები და დაევალათ:- პირველით ხსენებული ცნობების მოსაკრებათ კომლობრივი აღწერის მოწყობა თემებში და მეორეთ ამ საქმეში ხელმძღვანელობა. ბლანკები დაურიგდათ 19 თემისათვის. დანარჩენ 9 თემში სტატისტიკური განყოფილება ამ დღეებში გზავნის სხვანგებო კაცს, რომელიც ადგილობრივ მოაწყობს ცნობების მოკრების საქმეს. თათბირი ათი წუთით შესწყდა და მასწავლებლების გამოკლებით კვლავ განახლდა ი. ლლონტის თავმჯდომარეობით. თათბირმა თავმჯდომარისა და მდივნების მოხსენების შემდეგ გამოიმუშავა შემდეგი მუშაობის გეგმა:

1. იმ რაიონებში, სადაც მიწის ჩამორთმევა არ დამთავრებულა, გაგრძელებულ იქნეს მუშაობა, სანამ ეს შესაძლებელი იქნება.

2) დაევალოს სააგრარიო კომისიებს წინასწარი მუშაობის დაწყება მიწის განაწილების საქმეში, სახელდობრ: ა) უნდა გამოაცხადონ საქვეყნოდ, თანახმად კანონისა, რომ მიწის შეძენის მსურველებმა განსაკუთრებული თხოვნით მიმართონ სააგრარიო კომისიებს; ბ) უნდა დააჩქარონ კომისიებმა აგრეთვე მათ რაიონებში მიწის ჩამორთმევის გამო ატეხილი დავის და საჩივრების გარკვევა, რომ მომავალი გაზაფხულისათვის, როცა სამინდორო მუშაობა განახლდება, ყოველივე დავა ნორმის გამოჭრის და კერძო ნაყიდობის გარშემო გარკვეული დარჩეს, რათა მიწის დარიგების საქმეს ხელი არ შეეშალოს.

თათბირი დაიხურა ნაშუადღევის 4 საათზე.

## კითხვა—პასუხი.

**კითხვა.** — ბატონყმობის გაყრის დროს გლეხობის ერთ ნაწილზე გადავიდა მემამულეთაგან და სახელმწიფოსაგან მიწები ეგრეთ წოდებულ სანადელოთ, რომლებიც უნდა შეეყიდა გლეხებს, მაგრამ მათი შეყიდვა გლეხებმა ვერ მოასწრეს რევოლიუციამდე. გთხოვთ გვაცნობოთ ვის საკუთრებათ ითვლება ეხლა ეს მიწები.

**პასუხი.** — ასეთი სანადელო ადგილების მქონე გლეხები ძველი წეს-წყობილების დროს იწოდებოდენ დროებით ვალდებულ გლეხებათ, აგრეთვე სახელმწიფო „პოსელიანებათ", რომელ მათგანმაც ვერ მოასწრეს „უსტავნი ღრამოტებით" მათ სარგებლობაში მყოფი ადგილების შეყიდვა, თანახმა 1912 წლის 20 დეკემბრის კანონისა საქართველოს პარლამენტის 28 ივნისის კანონის თანახმად ასეთი მიწები გამოცხადებულია მათ საკუთრებათ (იხილეთ 1919 წ. 28 იანვრის კანონის 1 მუხლი), მიწის ფასი მას არ გადახდება, დამტკიცების და დაყოლნის ხარჯები კი უნდა იკისრონ (იხ. ამავე კანონის მე 3 მუხლი). დამტკიცება უნდა მოხდეს იმავე წესით, რა წესითაც მოხდება სახელმწიფო ფონდიდან შეყიდვა მიწებისა ე. ი. ერობის საშუალებით.

**კითხვა.** — ძველათ გლეხთა ერთ ნაწილს ქონდა აღებული სახელმწიფოსაგან მიწები სანაშენოთ, სამოსახლოთ და სახნავ სათესათ, რომელშიაც იხდიდენ იჯარას. მაშინ ამ მიწებს უწოდებდენ საუაგენტო მიწებს. გთხოვთ გვაცნობოთ ვის ხელშია დღეს ეს მიწები.

**პასუხი.** — ყველა ასეთი მიწები რესპუბლიკის კანონის ძალით გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში და მათ განაგებს განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც ქვია სახელმწიფო ფონდის მიწების გამგე.

**კითხვა.** — რა მდგომარეობაშია დღეს ის მიწები, რომლებიც აღებული ქონდა გლეხებს ეკლესიებისა და მონასტრებისაგან სასარგებლოთ და იჯარას უხდიდენ მათ.

**პასუხი.** — ყველა სამონასტრო და საეკლესიო მიწები გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში 1918 წ. 7 მარტს კანონის ძალით.

**კითხვა.** — ზოგი გლეხები უნებართვოდ დაეპატრონენ სახელმწიფო ფონდში გადახულ მიწებს და სახელდახელოდ დადგეს ზედ შენობები. გთხოვთ გვაცნობოთ ვის საკუთრებათ ითვლება ეხლა ეს მიწები.

**პასუხი.** — ასეთი მიწები აუცილებლათ ითვლებიან სახელმწიფო ფონდში. მოძალადეები კი პასუხს აგებენ რესპუბლიკის კანონების წინაშე.

## ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

**დეპეშა:** თბილისი 11 იანვარს საქართლველოს საგარეო საქ. სამინისტრო, თანახმად მის მიერ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარისაგან **მისტერ უორდროპ**-ისაგან მიღებული **ოფიციალური** ცნობისა, აცხადებს რომ **ლორდ კერზონ**-ის წინადადება **საქართველოს** და ადერბეიჯანის **დამოუკიდებლობის** ფაქტიურათ ცნობის შესახებ **მიღებულია უმაღლეს საბჭოს წევრების მიერ ერთხმათ**

## თემთა საყურადღებოთ

ჯერჯერობით გეგზავნებათ ათ-ათი ცალი ჩვენი გაზეთისა. გთხოვთ, გვაცნობოთ რამდენი გესაჭიროებათ.

რედაქტორი—**კოლეგია.**

გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის **გამგეობა.**